ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება:№48. 48241773
თარიღი:25/06/2024

,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭოს შექმნის შესახებ“ 2018 წლის 2 ივლისის N 31 1984 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მესამე ნაწილის ,,ა“ პუნქტის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ე.ე“, ,,ე.ვ.'' ქვეპუნქტების, 85-ე მუხლისა და ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1.შეტანილ იქნას ცვლილება ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტში მერიის სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭოს შექმნის შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 2 ივლისის N 31 1984 ბრძანებაში და ამ ბრძანების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

1. ,,შეიქმნას წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭო შემდეგი შემადგენლობით:

გრიგოლ ყურაშვილი - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე, საბჭოს თავმჯდომარე;

მალხაზ ჩხეიძე - პირველი რანგის, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების სამსახურის უფროსი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

მარეხ კანკაძე - პირველი რანგის, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი;

ფატი გაგოშიძე - პირველი რანგის, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი -საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი;

ანა გელენიძე - მეორე რანგის, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების სამსახურის შესყიდვების განყოფილების უფროსი;

ელენე კრავცოვა - მესამე რანგის, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების სამსახურის შესყიდვების განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, საბჭოს მდივანი.

არჩილ ღიბრაძე - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე;

გიორგი ფაჩუაშვილი - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო”-ს თავმჯდომარე;

ლალი გრიგოლავა - არასამთავრობო ორგანიზაცია ,,წყალტუბოს დევნილ ქალთა კავშირი’’;

თეიმურაზ ფირცხალავა - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენელი.“

2. ბრძანება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანვე.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი